

შპს „ოტომოტო“
ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2022 წლის 31 დეკემბერს

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

დირექტორი:

გ. ლობჯანიძე

შპს „ოტომოტო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

ნეტო ამონაგები	2022 წ.	2021 წ.
საქონლის გაყიდვიდან	6348848	5845174
მომსახურების გაწევიდან	6300619	5806996
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	48229	38178
საერთო მოგება	-5531771	-5148201
სხვა შემოსავალი	817077	696973
დასაქმებულთა ანაზღაურება		
ცვეთა და ამორტიზაცია	-283553	-283118
საპროცენტო შემოსავალი:	-40898	-40234
საპროცენტო ხარჯი :		
იჯარის ხარჯი	-34813	-39317
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-23108	-13102
სულ საოპერაციო ხარჯები	-122677	-90153
საოპერაციო მოგება	-505049	-465924
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	312028	231049
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-2374	-20
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	4115	-32485
მოგების გადასახადი	313769	198544
მოგება/(ზარალი)	-29133	-16939
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	284636	181605
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	284636	181605
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1414632	1460831
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-157579	-23158
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-2882	-31646
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-169900	-173000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1368907	1414632

დირექტორი:



გ. ლობჯანიძე

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	2022 წ.	2021 წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	415443	285226
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-266854	-80200
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-110844	-317709
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	37745	-112683
სავალუტო კურსის ეფექტი	-623	-29
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	19002	131714
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	56124	19002

დირექტორი:

გ. ლობჯანიძე



გ. ლობჯანიძე

1. კომპანიის შესახებ

შპს „ოტომოტო“, ს/ნ 412706166, (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება) დაარსდა 2015 წლის 27 თებერვალს, მდებარეობს საქართველოში და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ხელმძღვანელები და პარტნიორები არიან:

დირექტორი: გიორგი ლოზუანიძე - პ/ნ 60002018529

პარტნიორი: იური აბულაძე - პ/ნ 60002001082

ძირითადი და დამატებითი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საავტომობილო ზეთებით, აკუმულატორებით და საბურავებით ვაჭრობა ადგილობრივ ბაზარზე. ასევე კომპანიის დამატებით საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ან მოძრავი ქონების იჯარით გაცემა.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. საქართველო, ქ. ქუთაისი, მ. ბროსეს ქუჩა #5ბ 9. კომპანიის საქმიანობის ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები მითითებულია აკუმულირებული ამორტიზაციის გამოკლებით.

მცირე საექსპლუატაციო რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების, ძირითადი ნაწილების გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯები კაპიტალიზდება.

ცვეთა. მიწას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად.

სესხები. სესხები აღირიცხება თვითღირებულებით.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

31 დეკემბერ

ი

2022 წ.

ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020
ლარი/1 ევრო	2.8844

შემოსავლის აღიარება. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

საქონლის რეალიზაცია:

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება საქონლის მიწოდებისა და უფლებების გადაცემის შემდეგ, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი.
- კომპანია აღარ ინარჩუნებს მენეჯერული ჩარევის საშუალებას ისეთი ხარისხით, რაც მფლობელობასთანაა დაკავშირებული და ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე.
- შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.
- მოსალოდნელია, კომპანიაში ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება.

პერსონალთან დაკავშირებული ხარჯები. ხელფასები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს.

კომპანიის ფული განთავსებულია სს „საქართველოს ბანკი“-ს და სს „კრედიო ბანკი“-ს საბანკო ანგარიშებზე.

3. მარაგები

2020, 2021, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საქონელი	1 573 617	770 374	675 457
სხვა მარაგები	73 504	70 444	76 458
სულ მარაგები	1 647 121	840 818	751 915

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2020, 2021, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

შპს „ოტომოტო“

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	948 434	992 230	852 243
გადახდილი ავანსები	35 514	39 326	31 500
სულ მოთხოვნები	983 948	1 031 556	883 743

5. ფული და ფულის ექვივალენტები
2020, 2021, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული სალაროში	25 135	6 162	85 269
ფული ბანკში	30 989	12 840	46 445
სულ ფული და ფულის ექვივალენტი	56 124	19 002	131 714

6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

2021, 2022 წელს ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	2022	2021
საგადასახადო ხარჯი	12 150	15 290
სოციალური დანარიცხები	5 693	5 738
საბანკო ხარჯი	5 282	3 077
საკანცელარიო ხარჯი	468	173
მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	42 867	36 861
სხვა ხარჯები	56 217	29 014
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	122 677	90 153

7. მოქმედი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში.